


საქართველოს  
საავტორო უფლებათა  
სამსახური  
კოლექტიური მართვის ორგანიზაცია

წლიური ანგარიში 2019




# სარჩევი

შესავალი	2
წარმომადგენლობა	4
განაკვეთები	9
ლიცენზირება	10
სასამართლო	13
ჰონორარის შეგროვება	14
ჰონორარის განაწილება-გადახდა	18
საზოგადოებრივი ცნობიერება	21
საჭაროობა-გამჭვირვალობა	23
სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია	24
სამომავლო გეგმები	25

## შესავალი

2019 წელი საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციისათვის საკმაოდ აქტიური წელი იყო. გარდა აქტიური და შედეგიანი საქმიანობისა, განვლილი წელი გამოირჩეოდა არაერთი გამოწვევითაც, რასთან გამკლავებაც იოლი არ იყო. ამის მიუხედავად, წარმატებით მოხერხდა დაგეგმილი შედეგების მიღწევა როგორც უფლების მფლობელების განვითარებისა და ლიცენზიების გაცემის, ასევე ჰონორარის შეგროვებისა და განაწილების მიმართულებით.

ყველაზე დიდ გამოწვევას რუსეთის მიერ გასული წლის დასაწყისში შექმნილი დაბრკოლება წარმოადგენს. რუსეთი, ისევე როგორც თითქმის ყველა მიმართულებით, საავტორო უფლებების სფეროშიც ცდილობს საქართველოზე გავლენის მოპოვებას. მას შემდეგ, რაც უარი ვთქვით რუსეთის მიერ საავტორო უფლებების სფეროში შექმნილ ევრაზიულ კავშირში გაერთიანებაზე, საქართველოში კოლექტიური მართვის სისტემის დასუსტების და ხელში ჩაგდების მიზნით, რუსული მხარის ინიციატივით და რუსეთში მოღვაწე ქართველი მუსიკოსების დახმარებით, წლის დასაწყისში შეიქმნა საქართველოს უფლებამფლობელთა ასოციაცია, როგორც კოლექტიური მართვის ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია არ არის კოლექტიური მართვის ორგანიზაცია, რადგან ვერ აკმაყოფილებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის კანონით დადგენილ კრიტერიუმებს, არ აქვს გაფორმებული ურთიერთნარმომადგენლობის ხელშეკრულებები უმრავლესი ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან. ასევე, მიუხედავად საავტორო უფლებების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, საქპატენტის არაერთი განმარტებისა, რომ ერთადერთი კოლექტიური მართვის ორგანიზაცია საქართველოში არის საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია და მეორეს შექმნის შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს, იგი დღემდე კანონდარღვევით საქმიანობს და მოსარგებლებებისგან უკანონოდ ითხოვს ჰონორარის გადახდას. გარდა ამისა, ცდილობს ასოციაციის წევრების გადაბირებას მათთვის დაუსაბუთებელი, თითქოს რუსეთში შეგროვებული ჰონორარის გადახდით. ყველაფერი ეს უარყოფითად აისახება როგორც ასოციაციის მუშაობაზე, ასევე ქვეყანაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიური მართვის სისტემის განვითარებაზე.



გასული წელი კვლავაც მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა თუ მასში მონაწილეობის კუთხით. საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მიმდინარე პროცესები მედიის აქტიური ყურადღების არეალში იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაიზარდა ასოციაციის რეპერტუარი, რაც განხორციელდა უფლების მფლობელების მიერ მათი ნაწარმოებებისა და მომიჯნავე უფლებების ობიექტების რეგისტრაციის გზით. ამასთან, მითითებული რეპერტუარი დარეგისტრირდა შესაბამის საერთაშორისო ბაზებში.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ერთ-ერთმა წამყვანმა მუსიკალურმა გამომცემლობამ Universal Music Publishing Group-მა საქართველოში პირდაპირი წესით განახორციელა რეპერტუარის რეგისტრაცია და ჰონორარიც მიიღო.

მომიჯნავე უფლებების მფლობელებისათვის დაიწყო ახალი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რაც გაამარტივებს შეგროვებული ჰონორარის განაწილებას. ახალი პროგრამული უზრუნველყოფა ასოციაციაში დაინერგება მიმდინარე წელს.

გასული წელი გამორჩეული იყო აგრეთვე იმით, რომ აღინიშნა ასოციაციის დაარსებიდან მეოცე საიუბილეო წელი. ბოლო წლებში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ასოციაციის მიერ დაისახა შემდგომი განვითარების გეგმები.

## წარმომადგენლობა

2019 წელი ასოციაციისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წელი იყო როგორც ახალი ადგილობრივი წევრების, ასევე საერთაშორისო ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულებების გაფორმების მხრივ.

გასული წლის განმავლობაში ასოციაციაში გაწევრიანდა სხვადასხვა შემოქმედებითი სფეროს 196 წარმომადგენელი. გარდა ადგილობრივი საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელებისა, ასოციაციაში ასევე დარეგისტრირდა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მუსიკალური გამომცემლობის, Universal Music Publishing Group-ის კატალოგი. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც წამყვანი მუსიკალური გამომცემლობა სხვა შუამავალი ქვეყნის გვერდის ავლით, პირდაპირ შემოვიდა საქართველოს ბაზარზე.

ასოციაციას დაემატა - 196 წევრი



ლიტერატურული  
ნაწარმოების ავტორი - 24



მუსიკისა და  
თეატრის ავტორი - 39



მუსიკის ავტორი - 22



თეატრის ავტორი - 21



შემსრულებელი - 67



სახვითი ხელოვნების  
ავტორი - 9



ქორეოგრაფი - 4



არქიტექტორი - 3



რეჟისორი - 7


ასოციაციას გამოაკლდა - 115 წევრი

**წევრთა რაოდენობამ 2019 წლის ბოლოსთვის  
2020 საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელი შეადგინა.**

განსაკუთრებით დატვირთული იყო ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი. აღნიშნულმა პროცესმა მოიცვა საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვადასხვა სეგმენტში მოქმედი კოლექტიური მართვის ორგანიზაციები. სულ გაფორმდა და განახლდა 54 საერთაშორისო ხელშეკრულება.


მუსიკალური ნაწარმოების  
საავტორო უფლებების სფერო

AEI – გვატემალა  
ALBAUTOR – ალბანეთი  
APRA – ავსტრალია  
ASSIM – ბრაზილია  
AUTODIA – საბერძნეთი  
COMPASS – სინგაპური (ორი ხელშეკრულება)  
COSON – ნიგერია (ორი ხელშეკრულება)  
JACAP – იამაიკა  
MCT – ტაილანდი  
SAYCE – ეკვადორი  
SOCINPRO – ბრაზილია  
STEF – ისლანდია  
VCPMC – ვიეტნამი



აუდიო-ვიზუალური  
ნაწარმოების სფერო

ALBAUTOR – ალბანეთი  
ASDACS – ავსტრალია  
AWGACS – ავსტრალია  
DACIN-SARA – რუმინეთი  
DASC – კოლუმბია  
EAU – ესტონეთი  
REDES – კოლუმბია  
SACD – საფრანგეთი  
SFP-ZAPA – კოლონეთი



## ლიტერატურული ნაწარმოებების სფერო

ALBAUTOR – ალბანეთი

HAPR – უნგრეთი

JAC – იაკონია

JAMCOPY – იამაიკა

KOPINOR – ნორვეგია

ORIGINAL – ბოსნია და ჰერცეგოვინა

YABIR – თურქეთი

## სახვითი ხელოვნების სფერო

OFA – სერბეთი

UACRR – უკრაინა

VEGAP – ესპანეთი





## მომიჯნავე უფლებების სფერო

COSON – ნიგერია

CREDIDAM – რუმინეთი

GRAMEX – დანია (ორი ხელშეკრულება)

GRAMO – ნორვეგია

HUZIP – ხორვატია

IPF – სლოვენია

ISRA – ინდოეთი

LAIPA – ლატვია

MROC – კანადა

PI – სერბეთი

VOIS – რუსეთი

RAAP – ირლანდია

RESOUND – კანადა

SAMI – შვედეთი

SAMPRA – სამხრეთ აფრიკის  
რესპუბლიკა

SCPP – საფრანგეთი

SENA – ნიდერლანდები (ორი  
ხელშეკრულება)

UBC – ბრაზილია




## განაკვეთები

2019 წელს ასოციაციის მიერ დადგენილი განაკვეთებიდან მხოლოდ რამდენიმე (ისიც მცირედით) შეიცვალა. ცვლილებები შეეხო ჰორეკას სექტორში (კვების და სასტუმრო დაწესებულებები) როგორც საავტორო, ასევე მომიჯნავე უფლებებით დაცული ნაწარმოებების საჯარო შესრულებისათვის დადგენილ განაკვეთებს, ასევე მსუბუქი კონსტრუქციებისა და სეზონურ დაწესებულებებში საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ნაწარმოებების საჯარო შესრულებისათვის დადგენილ განაკვეთებს და საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების მასობრივ-სანახაობითი ღონისძიებების დროს საჯარო შესრულების განაკვეთებს. ცვლილებების შინაარსი მოიცავს ფესტივალების დროს მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულების განახლებულ რეგულირებას, ასევე, ისეთ ფასიან ღონისძიებებს, რომლებიც ჰორეკას სექტორში ხორციელდება.

## ლიცენზირება

გასულ წელს ასოციაციის საქმიანობა ლიცენზირების მიმართულებით გაცილებით პრომატევადი გახდა, რაც რუსეთის უკანონო მოქმედებებმა გამოიწვია. მიუხედავად რუსეთის მიერ ასოციაციის შიდა საქმეებში უხეში ჩარევისა, მოხერხდა როგორც მოსარგებლეთა უკანონო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შეკავება, ასევე ახალი ლიცენზიების გაცემა.

მნიშვნელოვანი სიახლეა ის ფაქტიც, რომ წინა წლების მსგავსად, როცა ასოციაციამ შეძლო და ლიცენზიები გასცა დიდ საერთაშორისო მოსარგებლეებზე (YouTube, Deezer და ა.შ.), გასულ წელსაც ლიცენზია გაცა Facebook/Instagram-ზე მუსიკის გამოყენების კუთხით.



	თბილისი	რეზიონი	ჯამი
იანვარი	30	21	51
თებერვალი	20	22	42
მარტი	31	13	44
აპრილი	23	5	28
მაისი	24	21	45
ივნისი	19	23	42
ივლისი	11	18	29
აგვისტო	21	15	36
სექტემბერი	42	23	65
ოქტომბერი	34	12	46
ნოემბერი	28	8	36
დეკემბერი	43	8	51
<b>ჯამი</b>	<b>326</b>	<b>189</b>	<b>515</b>

HORECA	397
საკაბელო ოპერატორი	1
ინტერნეტ სტრუქტურა	1
თეატრი	17
რეკლამა	55
მასობრივ-სანახაობითი ღონისძიება	32
გამოცემა-რეპროდუცირება	11
საჯარო თხოვნა	1
<b>ჯამი</b>	<b>515</b>

## სასამართლო

მიუხედავად საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ასოციაცია იძულებულია კვლავ მიმართოს სასამართლოს, საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცული ნაწარმოებების ნაბართვის გარეშე გამოყენების ან ლიცენზიით გათვალისწინებული ჰონორარის გადაუხდელობის გამო. გასულ წელს ამას დაემატა რუსეთის მიერ შექმნილი დაბრკოლებაც, რომლის დაძლევისთვისაც უკანონოდ მოქმედი ორგანიზაციის მიმართ რამდენიმე სასამართლო დავა დაიწყო.




## ჰონორარის შეგროვება

მიუხედავად რუსეთის მიერ ხელოვნურად შექმნილი რთული გამონვევისა, კვლავ გრძელდება შეგროვებული ჰონორარის ზრდა. 2019 წელს შეგროვებული ჰონორარის ოდენობა დაახლოებით 10%-ით გაიზარდა და 5.5 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც 22-ჯერ აღემატება 1999-2010 წლების შეგროვების საშუალო მაჩვენებელს.




იანვარი	299 771
თებერვალი	388 087
მარტი	360 148
აპრილი	445 144
მაისი	416 804
ივნისი	343 980
ივლისი	488 693
აგვისტო	428 899
სექტემბერი	371 034
ოქტომბერი	518 604
ნოემბერი	417 084
დეკემბერი	1 030 148





HORECA	3 507 535
თელესამუშაო ორგანიზაცია	371 632
სატრანზიტო ოპერატორი	788 259
რადიოსამუშაო კომპანია	147 019
ინტერნეტ სტრუქტურა	93 787
თეატრი	181 428
კინოთეატრი	24 294
რეკლამა	84 246
მასობრივ-საინფორმაციო ღონისძიება	96 305
გამოცემა-რეპროდუქცირება	81 006
საჯარო თხოვნა	33 310



AKKA - ლატვია	9 233	SACEM - საფრანგეთი	808
AKM - ავსტრია	1 793	SGAE - ესპანეთი	4 019
ARTISJUS - უნგრეთი	1 461	SIAE - იტალია	605
BUMA - ჰოლანდია	401	HANS SIKORSKI - გერმანია	10 457
EAU - ესტონეთი	252	SOFAM - ბელგია	11 655
GEMA - გერმანია	19 197	SPA - კორეული	684
JASRAC - იაპონია	5 785	STIM - შვედეთი	805
KODA - დანია	904	SUISA - შვეიცარია	8 540
LATGA - ლიბია	258	TEOSTO - ფინეთი	1 950
NCIP - ბელორუსი	1 876	TONO - ნორვეგია	4 016
NUOVO IMAIE - იტალია	715	ZAIKS - კოლონეთი	1 315
PRS - დიდი ბრიტანეთი	12 843		


## ჰონორარის განაწილება-გადახდა

გასულ წელს გაუმჯობესდა მოსარგებლეთა მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფა. სპეციალური კომპიუტერული პროგრამა VERICAST-ის ნაცვლად ასოციაცია 2020 წლიდან გამოიყენებს უფრო დახვეწილ ACRCLOUD-ის სისტემას. აღნიშნული პროგრამა სრულყოფილად აღრიცხავს სატელევიზიო ეთერებში გადაცემულ მუსიკალურ ნაწარმოებებს და მოახდენს მათ იდენტიფიცირებას.

განახლდა ჰონორარის განაწილების პროგრამა CoSIS-იც, რომელსაც ასოციაცია უკვე არაერთი წელია წარმატებით იყენებს. განახლების შედეგად დაიხვეწა პროგრამის ფუნქციონალი.

მნიშვნელოვანი სიახლეა მომიჯნავე უფლებების სფეროშიც. გარდა შემსრულებლების საერთაშორისო ბაზისა (IPD), რომელშიც მომიჯნავე უფლების ადგილობრივი მფლობელები სრულად ინტეგრირდნენ, ასოციაცია ასევე გეგმავს ვირტუალური ჩანაწერების მონაცემთა ბაზით (VRDB) სარგებლობის დაწყებასაც. ეს უკანასკნელი გაცილებით მეტ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე შემსრულებლების საერთაშორისო ბაზა (IPD) და აადვილებს ჰონორარის ზუსტ განაწილებას მომიჯნავე უფლების მფლობელებზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ასოციაციამ შეიძინა მომიჯნავე უფლების ობიექტების სარგებლობისათვის შეგროვებული ჰონორარის განაწილების პროგრამული უზრუნველყოფაც, რომელიც შექმნილია სერბეთის კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ. მითითებულ ორგანიზაციასთან უკვე შედგა შეთანხმება და პროგრამა მიმდინარე წელს დაიწერება. ხაზგასასმელია, რომ ამ პროგრამის შექმნა მომიჯნავე უფლებების საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციის, შემსრულებელთა უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების საბჭოს (SCAPR) ფინანსური დახმარებით გახდა შესაძლებელი.



ACUM - ისრაელი	1 824	MSG - თურქეთი	34 186
AKM - ავსტრია	1 845	PRS - დიდი ბრიტანეთი	203 554
ALCS - დიდი ბრიტანეთი	1 454	SACD - საფრანგეთი	4 889
AMRA - აშშ	1 710	SACEM - (საფრანგეთი)	49 219
APRA - ავსტრალია	49 869	SADAIC - არგენტინა	6 570
ARMAUTHOR - სომხეთი	1 399	SGAE - ესპანეთი	10 855
ARTISJUS - ლიტვა	3 958	SIAE - იტალია	24 105
ASCAP - აშშ	182 145	SOCAN - კანადა	13 167
BMI - აშშ	181 858	STIM - შვედეთი	8 943
BUMA - ჰოლანდია	4 204	SUISA - შვეიცარია	4 637
GEMA - გერმანია	26 920	TEOSTO - ფინეთი	1 192
IMRO - ირლანდია	1 420	TONO - ნორვეგია	2 737
JASRAC - იაპონია	15 137	UNIVERSAL MUSIC PUBLISHING GROUP (GMI RIGHTS MANAGEMENT) - აშშ	39 100
KODA - დანია	2 691	UBC - ბრაზილია	7 461
KOMCA - სამხრეთ კორეა	2 443	PPL - დიდი ბრიტანეთი	48 480
MESAM - თურქეთი	162 940		

## საზოგადოებრივი ცნობიერება

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ასოციაციის საქმიანობის მუდმივ და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამ კუთხით წარმატება განაპირობებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის გაუმჯობესებას, ისევე როგორც დიდწილად ამის შედეგია შეგროვებული ჰონორარის ზრდა და დარღვევათა შემცირება.

გასული წლის განმავლობაში მედიის მიერ აქტიურად შუქდებოდა ასოციაციის საქმიანობა. საავტორო უფლებებს დაეთმო არაერთი საინტერესო სიუჟეტი თუ სატელევიზიო გადაცემა. ასოციაციის საქმიანობა შუქდებოდა როგორც სატელევიზიო და რადიო ეთერებით, ასევე ონლაინ და ბეჭდური მედიის მიერ.

გარდა მედია-აქტიურობისა, ასოციაცია ჩართული იყო საგანმანათლებლო საქმიანობაშიც. გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა და სემინარი. აღნიშვნის ღირსია ის ღონისძიებები, რაც უკვე ტრადიციულად ყოველ წელს იმართება საქართველოში:

18-19 ივლისს ასოციაცია მონაწილეობდა აშშ-ის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით ჩატარებულ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“, რომელიც სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით ქალაქ ბათუმში გაიმართა.

CLDP-ის დაფინანსებით, 20-21 ივლისს, ქალაქ ბათუმში, ამერიკელი მოსამართლეების მიერ წარმატებით ჩატარდა მოსამართლეთა სემინარები, რომელშიც მონაწილეობდა 30-მდე ქართველი მოსამართლე, ასევე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, საქპატენტის და იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლები.

ასოციაცია მონაწილეობდა 1-5 ივლისს თბილისში, CLDP-ისა და საქპატენტის ორგანიზებით, ევროპის

იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) საზაფხულო სკოლის ფარგლებში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ გამართულ კონფერენციაში. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ, როგორც ქართველი, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტები.

გარდა ყოველწლიური ღონისძიებებისა, გასული წლის 11 ივლისს გაიმართა ასოციაციის 20 წლის იუბილესადმი დაკავშირებული ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც, დაინტერესებული საზოგადოებისთვის საავტორო უფლებების შესახებ სემინარები ჩატარდა, ასევე გამოიცა და უსასყიდლოდ გავრცელდა 20 ქართველი რეპრესირებული ხელოვანისადმი მიძღვნილი წიგნი „წითელი რეპრესიები“.

25 სექტემბერს, ასოციაციის ორგანიზებით და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, საოკუპაციო ზოლთან მდებარე სოფელ მერეთის საჯარო სკოლის ეზოში ჩატარდა კონცერტი. კონცერტში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები. კონცერტს ესწრებოდნენ საოკუპაციო ზოლთან მდებარე სოფლების მაცხოვრებლები და სკოლების მოსწავლეები.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ასევე ხელი შეუწყო საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში საერთაშორისო ღონისძიებებმა. მათგან გამოსარჩევია მომიჯნავე უფლებების საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციის, შემსრულებელთა უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების საბჭოს (SCAPR) მიერ ჩატარებული სამუშაო ჯგუფების, კომიტეტებისა და მმართველი ორგანოს შეხვედრები, რომელიც თბილისში, 11-დან 14 თებერვლის ჩათვლით გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდა ქოლგა ორგანიზაციისა და სხვადასხვა ქვეყნის კოლექტიური მართვის ორგანიზაციების 80-მდე წარმომადგენელი.

## საჯაროობა-გამჭვირვალობა

ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს მისი საქმიანობის გამჭვირვალობა და საჯაროობა წარმოადგენს. ასოციაციის საქმიანობა ღია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ყველა საჭირო ინფორმაციას შეუფერხებლად იღებენ როგორც უფლების მფლობელები, ასევე მოსარგებლები.

ასოციაცია კანონის მოთხოვნების დაცვით რეგულარულად აწვდის საქმიანობის ანგარიშს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს, საქპატენტს და უგზავნის მას საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციებს. ანგარიში ასევე ბეჭდურად გამოიცემა, ვრცელდება წევრებს შორის და თავსდება ასოციაციის ვებ-გვერდზე.

რაც შეეხება ასოციაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას და მნიშვნელოვან დოკუმენტებს (წლიური ანგარიში, წესდება, დებულებები, განაკვეთები და ა.შ.) იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის ასოციაციის ვებ-გვერდის მეშვეობით.



## სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

გასულ წელს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ანტიმეკობრული ცენტრის შექმნა იყო, რაშიც ასოციაციაც აქტიურად მონაწილეობდა. ცენტრის მიზანია ინტერნეტ-მეკობრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მის წინააღმდეგ ბრძოლა. უკვე გადაიდგა ნაბიჯები კინო-მეკობრეობის წინააღმდეგ და დაიწყო აქტიური საინფორმაციო კამპანია, ასევე შემუშავდა ინტერნეტ-მეკობრეობასთან ბრძოლის დეტალური გეგმა. ცენტრს აქტიური კონტაქტი აქვს MOTION PICTURE ASSOSSIATION OF AMERICA-სთან, რაც ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დანერგვას.



## სამომავლო გეგმები


ასოციაციის სამომავლო გეგმები ეხება, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებს, ასევე ლიცენზირების ახალი სეგმენტების ათვისებას და ჰონორარის ზრდას.

კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება რუსული საფრთხე, რომელიც გარკვეულწილად აფერხებს განვითარების ტემპს. შექმნილი მდგომარეობის გამო უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავს მსოფლიოში არსებული ყველა საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაცია, ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაცია (CISAC), შემსრულებელთა უფლებების კოლექტიურად მმართველი ორგანიზაციების საბჭო (SCAPR) და რეპროდუცირების უფლების ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაცია (IFRRO) ქოლგა ორგანიზაციები ღიად აფიქსირებენ ასოციაციის, როგორც რეგიონში ლიდერის მხარდაჭერას და მკვეთრად ნეგატიურად აფასებენ მეორე კოლექტიური მართვის ორგანიზაციის არსებობის პერსპექტივას, რადგან ეს გამოიწვევს კოლექტიური მართვის სისტემის მნიშვნელოვან შეფერხებას, რაც დააზარალებს ავტორებს.


მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, კოლექტიური მართვის სისტემა საქართველოში უკვე საკმაოდ ძლიერია და ღრმად გვწამს, რომ ამ გამოწვევასაც წარმატებით გავუმკლავდებით. საბოლოო ჯამში კი, უფლების მფლობელებთან და მოსარგებლებთან კოორდინირებული მოქმედებით შევძლებთ ნამყვანი ქვეყანა გავხდეთ არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც.

## შედარებითი ანალიზი


შეგროვებული კონორარი



გადახდილი კონორარი



ნავროთა რაოდენობა





თბილისი 2020